



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №31

2011 წლის 17 ივნისი

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 აგვისტოს №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1.

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 აგვისტოს №8 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 12.08.2010 წ., №10, გვ.225) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გამგეობის სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) ადმინისტრაციული სამსახური;
- ბ) იურიდიული სამსახური;
- გ) საფინანსო სამსახური;
- დ) ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა სამსახური;
- ე) ზედამხედველობის სამსახური;
- ვ) არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური;
- ზ) ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვენსტიციო განვითარების სამსახური;
- თ) კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახური;
- ი) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;
- კ) სახანძრო დაცვის სამსახური;
- ლ) სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური;
- მ) შიდა აუდიტის სამსახური.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

